

ფინანსური დახმარების აპლიკაციის ინსტრუქციები

ზოგადი ინფორმაცია

ბულგარეთის ამერიკულ უნივერსიტეტში მიღება დამოკიდებულია სტუდენტის აკადემიურ კვალიფიკაციაზე.

ბულგარეთის ამერიკული უნივერსიტეტი (AUBG) ბევრ სტუდენტს სთავაზობს დაფინანსებებს კერძო და კორპორაციული დონორების დახმარებით. დაფინანსებები შეიძლება იყოს ან სრული ან ნაწილობრივი და მათი გაცემა დამოკიდებულია დონორების მიერ წამოყენებულ მოთხოვნებზე. ზოგიერთ დონორს სურს, მხარი დაუჭიროს აკადემიურად ძლიერ სტუდენტებს, ხოლო ზოგს სურს, დაეხმაროს მათ, ვისაც ფინანსური დახმარების საჭიროება გააჩნია.

უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს ფინანსურ მხარდაჭერას მათი აკადემიური მოსწრების, ფინანსური მდგომარეობის ან ორივე კრიტერიუმის საფუძველზე. ფინანსური საჭიროება განისაზღვრება ფინანსური დახმარების აპლიკაციისა და მასთან ერთად ჩაბარებული საჭირო დოკუმენტების, რომლებიც აპლიკაციის ნაწილია, დეტალური შესწავლის შედეგად.

ფინანსური მხარდაჭერა ფარავს სწავლის გადასახადის ნაწილს და თანხის უკან დაბრუნება სტუდენტს არ მოეთხოვება. ფინანსური მხარდაჭერა დაფარავს სწავლის მაქსიმუმ 8 სემესტრს და დამოკიდებულია კარგ აკადემიურ მოსწრებაზე.

ბულგარეთის ამერიკული უნივერსიტეტი იცავს კანონს პერსონალური ინფორმაციის დაცვის შესახებ. უნივერსიტეტისთვის ჩაბარებული ინფორმაცია არის მკაცრად კონფიდენციალური და გამოიყენება მხოლოდ ფინანსური მხარდაჭერის კომისიის მიერ, რათა გადაწყვიტონ, რა რაოდენობის გრანტი გამოჰყონ AUBG-ის პერსპექტიული სტუდენტისათვის. ფინანსური დახმარების აპლიკაციისთვის წარდგენილი დოკუმენტები წარმოადგენს უნივერსიტეტის საკუთრებას და არ დაუბრუნდება სტუდენტს.

ბულგარეთის ამერიკული უნივერსიტეტი იტოვებს უფლებას, გადაამოწმოს სიმართლე და სიზუსტე ყველა წარდგენილი ინფორმაციისა. ფინანსური მხარდაჭერის აპლიკაციის შევსება მცდარი ინფორმაციით გამოიწვევს აპლიკანტის მიერ მიღებული ყველა ფინანსური გრანტის ჩამორთმევას. ის შეიძლება გაირიცხოს AUBG-დან და ჩამოერთვას უფლება, ხელახლა ჩააბაროს. ინფორმაცია, მითითებული ფინანსური დახმარების აპლიკაციაში, და მასთან ერთად ჩაბარებული ყველა დოკუმენტი მოწოდებული არის მოხალისეობრივად.

ბულგარეთის ამერიკული უნივერსიტეტი წინააღმდეგია ყოველგვარი დისკრიმინაციის და ხელს უწყობს მრავალფეროვნებასა და თანაბარ შესაძლებლობებს უნივერსიტეტის თანამშრომლებსა და სტუდენტებს შორის.

ინსტრუქციები

ფინანსური დახმარების აპლიკაცია (AFA) არის თქვენი სააპლიკაციო პაკეტის განუყოფელი ნაწილი იმ შემთხვევაში, თუკი თქვენ გსურთ მიიღოთ საჭიროებაზე მორგებული ფინანსური მხარდაჭერა და დაფინანსებები. უნივერსიტეტი ინახავს ფინანსური მხარდაჭერისთვის გამოყოფილ ბიუჯეტს, რათა დაეხმაროს სტუდენტებს, რომლებსაც აქვთ მაღალი ფინანსური საჭიროება. ზოგიერთი დონორი აწესებს, რომ მათ მიერ გამოყოფილი დაფინანსებები გადავცეთ სტუდენტს, ვისაც ფინანსური საჭიროება გააჩნია. ეს დაფინანსებები და AUBG-ის მიერ გამოყოფილი ფინანსური მხარდაჭერა არის საჭიროებაზე მორგებული დაფინანსებები. იმისათვის, რომ საჭიროებაზე მორგებულ დაფინანსებაზე იყოთ გათვალისწინებული, ეს ფორმა ბოლომდე უნდა შეავსოთ. ბოლომდე შეუვსებელი აპლიკაცია არ მიიღება. თუ არ შეავსებთ ფინანსური დახმარების აპლიკაციას, ვერ მიიღებთ ვერც ერთი ტიპის ფინანსურ დახმარებას და უნივერსიტეტში სწავლის პირველი ორი სემესტრის მანძილზე არ გექნებათ განაცხადის შეტანის უფლება. უნივერსიტეტს არ შეუძლია, დაეხმაროს ყველა სტუდენტს, რომელსაც აქვს ფინანსური საჭიროება და არ შეუძლია გამოყოს ისეთი რაოდენობის გრანტი, რომ სტუდენტის ფინანსური საჭიროების პრობლემა სრულიად გადაწყვიტოს. რადგანაც ფინანსური მხარდაჭერა გაცივმა კონფიდენციალური ინფორმაციის შეფასების საფუძველზე, რომელსაც უშუალოდ აპლიკანტი და მისი ოჯახი აზარებს ჩარიცხვების ოფისს, უნივერსიტეტს არ შეუძლია აპლიკანტს დეტალური ინფორმაცია გაუზიაროს ფინანსური მხარდაჭერის გადაწყვეტილების შესახებ, რომელსაც კომისია მიიღებს.

ფორმა არ არის სრულყოფილი, თუ არ არის წარმოდგენილი საჭირო დოკუმენტები, რომლებიც მითითებულია წარსადგენად სავალდებულო დოკუმენტების ნუსხაში. არ ხართ ვალდებული, წარმოადგინოთ დოკუმენტები, რომელიც თქვენ არ გეხებათ, ამ შემთხვევაში მონიშნეთ N/A. აპლიკაციის ხელმოწერა ნიშნავს, რომ სურვილს გამოთქვამთ, თქვენი აპლიკაცია განიხილოს წარმოდგენილ დოკუმენტებზე დაყრდნობით. თქვენ არ გექნებათ შესაძლებლობა, დაამატოთ დოკუმენტები მოგვიანებით.

თუ თქვენ არ შეგიძლიათ აპლიკაციის რომელიმე სექციის შევსება, ან რომელიმე დოკუმენტის წარდგენა, 53-ე ხაზზე მიუთითეთ მიზეზი. ამ აპლიკაციის გამოგზავნა გამოტოვებული ან არასრული ინფორმაციით, აპლიკაციის გაუქმების მიზეზი იქნება. გთხოვთ, კითხვების არსებობის შემთხვევაში, დაუკავშირდით AUBG-ის ფინანსური მხარდაჭერის ოფისს - financialaidoffice@aubg.edu

სრული ინსტრუქცია

ხაზი 1 მიუთითეთ დიდი ასოებით ჯერ აპლიკანტის გვარი, შემდეგ სახელი და შემდეგ მეორე სახელი (middle name, თუ გაქვთ).

ხაზი 2 მონიშნეთ 'male' - თუ ხართ მამრობითი სქესის წამომადგენელი, 'female' - თუ ხართ მდედრობითი სქესის.

ხაზი 3 შეავსეთ დაბადების თარიღი შემდეგი თანმიმდევრობით - თვე, დღე, წელი.

ხაზი 4 მიუთითეთ, თუ როდის აპირებთ სწავლის დაწყებას - 2017 წლის შემოდგომაზე, თუ 2018 წლის გაზაფხულზე.

ხაზი 5 მიუთითეთ, რომელი ქვეყნის მოქალაქეა აპლიკანტი.

ხაზი 6 მიუთითეთ, რომელ ქვეყანაში ცხოვრობს აპლიკანტი ამჟამად.

ხაზი 7 მიუთითეთ იმ ქალაქის ან სოფლის სახელწოდება, სადაც აპლიკანტი ცხოვრობს.

ხაზი 8 მიუთითეთ აპლიკანტის ბიოლოგიური მშობლების სტატუსი.

ხაზი 9 მიუთითეთ აპლიკანტის ოჯახის წევრების რაოდენობა. ჩათვალეთ მშობლები, დედამამიშვილები და დედინაცვალი/მამინაცვალი (თუ გყავთ). არ მიათვალოთ ოჯახის გარდაცვლილი წევრები.

ხაზი 10 10a ხაზიდან 10f ხაზის ჩათვლით, მიუთითეთ თქვენი ოჯახის წევრები. მიუთითეთ ოჯახის ყველაზე მაღალი შემოსავლის მქონე პირი 10a ხაზზე, 10b ხაზზე რიგით მეორე მაღალი შემოსავლის მქონე პირი, ხოლო რიგით მესამე მაღალი შემოსავლის მქონე პირი 10c ხაზზე. "Relationship to applicant" სვეტში მიუთითეთ, რა ურთიერთობა აქვთ აპლიკანტს და ჩამოთვლილ პირებს (მამა, დედა, და და ა.შ). "Age" სვეტში მიუთითეთ ჩამოთვლილი პირების ასაკი. თუ უფრო მეტი წევრია, ჩაწერეთ ისინი დამატებით ფურცელზე.

ხაზი 11 11a ხაზიდან 11c-ის ჩათვლით წარმოადგინეთ ინფორმაცია ოჯახის იმ წევრების შესახებ, რომლებიც არიან უნივერსიტეტის სტუდენტები ან სკოლის მოსწავლეები. "Annual Cost to Attend" ხაზზე მიუთითეთ წლიური გადასახადი სკოლაში, ან უნივერსიტეტში. "Family Contribution"-ში მიუთითეთ, გადასახადის რა ნაწილს იხდის ოჯახი. "Inst. grant/loan/work" მიუთითეთ, თანხის რა ნაწილს ფარავს სკოლის ან უნივერსიტეტის ფინანსური დახმარება - ეს თანხა უნდა იყოს წლიური გადასახადისა და ოჯახის მიერ გადახდილი თანხების სხვაობა. დაწერეთ N/A მე-11a ხაზზე თუ ოჯახის არც ერთი წევრი არ სწავლობს სკოლაში ან უნივერსიტეტში.

ხაზი 12 მიუთითეთ ოჯახის საცხოვრებელი. მონიშნეთ "Own", თუ ოჯახი ფლობს საცხოვრებელს, "Rent" - თუ ოჯახს დაქირავებული აქვს საცხოვრებელი. მონიშნეთ "Live with others" თუ ოჯახი ცხოვრობს სახლში, რომელიც არის სხვის მფლობელობაში, თუმცა არ იხდის გადასახადს.

ხაზი 13 მიუთითეთ 10a ხაზზე ჩაწერილი ოჯახის წევრის სრული სახელი და გვარი. 13a-ში მიუთითეთ მისი თანამდებობა. 13b-დან 13g-ს ჩათვლით მიუთითეთ ოჯახის წევრის დამქირავებლის (სამსახურის უფროსის) მისამართი. 13h-ში მიუთითეთ დამქირავებლის ტელეფონის ნომერი.

ხაზი 14 მიუთითეთ 10b ხაზზე ჩაწერილი ოჯახის წევრის სრული სახელი და გვარი. 14a-ში მიუთითეთ მისი თანამდებობა. 14b დან 14g-ს ჩათვლით მიუთითეთ ოჯახის წევრის დამქირავებლის (სამსახურის უფროსის) მისამართი. 14h-ში მიუთითეთ დამქირავებლის ტელეფონის ნომერი.

ხაზი 15 მიუთითეთ 10c ხაზზე ჩაწერილი ოჯახის წევრის სრული სახელი და გვარი. 15a-ში მიუთითეთ მისი თანამდებობა. 15b დან 15g-ის ჩათვლით მიუთითეთ ოჯახის წევრის დამქირავებლის (სამსახურის უფროსის) მისამართი. 15h-ში მიუთითეთ დამქირავებლის ტელეფონის ნომერი.

ხაზი 16 გთხოვთ, წარმოადგინეთ სხვა ინფორმაცია დასაქმების შესახებ.

ხაზი 17-22 ჩაწერეთ შემოსავალი საკომისიოს გადახდამდე, მამის (ხაზი 17), დედის (ხაზი 18), აპლიკანტის (ხაზი 19), აპლიკანტის მეუღლის (ხაზი 20), და სხვა შემოსავლები იმ პირებისა, რომლებიც მითითებულნი არიან ხაზებში 10a, 10b ან 10c (ხაზი 21). 22-ე ხაზზე შეკრიბეთ ყველა შემოსავალი (საშემოსავლო გადახდამდე), შემოსავლებზე გადახდილი საშემოსავლო და საერთო შემოსავალი ოჯახისა (საშემოსავლო გადახდის შემდეგ). თითოეულ შემთხვევაში მიუთითეთ ყოველწლიური თანხა ეროვნულ ვალუტაში.

ხაზი 23-28 ამ ხაზებზე მიუთითეთ შემოსავალი, დანახარჯი, მოგება (დანაკარგი) ბიზნესიდან (ბიზნესებიდან), რომელსაც (რომლებსაც) ფლობს მამა (ხაზი 23), დედა (ხაზი 24), აპლიკანტი (ხაზი 25), აპლიკანტის

მეუღლე (ხაზი 26), და სხვა პირები მე-27 ხაზზე. თითოეულ შემთხვევაში ჩაწერეთ უკანასკნელი წლის თანხები. 28-ე ხაზზე მიუთითეთ ოჯახის მთლიანი შემოსავალი, დანახარჯი, მოგება ან დანაკარგი ბიზნესიდან (ბიზნესებიდან). IV სვეტში ჩაწერეთ რამდენი ადამიანია დასაქმებული ამ ბიზნესით (ბიზნესებით).

ხაზი 29 წარმოადგინეთ დამატებითი ინფორმაცია ბიზნესებზე 23-28 ხაზებიდან.

ხაზი 30-35 ამ ხაზებზე მიუთითეთ წლიური პენსია, დაუსაქმებლობის ჯამური კონპენსაცია, ალიმენტი, სოციალური დახმარებისა თუ ქირის თანხა მიღებული მამის მიერ (ხაზი 30), დედის მიერ (ხაზი 31), აპლიკანტის მიერ (ხაზი 32), აპლიკანტის მეუღლის მიერ (ხაზი 33), სხვა პირების მიერ (ხაზი 34). 35-ე ხაზზე ჯამში ჩაწერეთ წლიური პენსია, ალიმენტი, დაუსაქმებლობის კონპენსაცია, სოციალური დახმარების თანხა, ალიმენტი.

ხაზი 36 ამ ხაზზე შეკრიბეთ რიცხვები 22-ე ხაზის მესამე სვეტიდან, მესამე სვეტი 28 ხაზისა და ყველა სვეტი 35-ე ხაზისა, რათა მიიღოთ ოჯახის საერთო შემოსავალი და მიუთითეთ მიღებული რიცხვი 36-ე ხაზზე.

ხაზი 37-42 ამ ხაზებზე მიუთითეთ არსებული თანხა მამის (ხაზი 37), დედის (ხაზი 38), აპლიკანტის (39) და აპლიკანტის მეუღლის (40) საბანკო ანგარიშზე. სხვა პირებისა მიუთითეთ 10a, 10b, 10c ხაზებზე (41). 42-ე ხაზზე შეკრიბეთ თანხები 37-41 ხაზებიდან, რათა მიიღოთ ოჯახის ჯამური დანაზოგი საბანკო ანგარიშებზე.

ხაზი 43 თუ ოჯახის რომელიმე წევრი ფლობს ბინას, სახლს ან მიწის ნაკვეთს

წარმოადგინეთ შემდეგი დეტალები: 1) მფლობელის სახელი და გვარი, 2) სახლის, ბინის, მიწის ნაკვეთის აღწერა, 3) სახლის, ბინის, მიწის ნაკვეთის მისამართი. აპლიკაციას მიამაგრეთ დამატებითი გვერდებით, თუ საჭირო გახდება.

ხაზი 44 წარმოადგინეთ შემდეგი ინფორმაცია ოჯახის წევრების მფლობელობაში მყოფ ავტომობილებზე: 1) მანქანის ბრენდი 2) მოდელის სახელი 3) გამოშვების წელი 4) ლიცენზიის ნომერი.

ხაზი 45 წარმოადგინეთ შემდეგი ინფორმაცია აპლიკანტის საერთაშორისო მოგზაურობის შესახებ: 1) ქვეყანა, სადაც იმოგზაურეთ 2) მოგზაურობის მიზანი (საქმიანი შეხვედრა, ტურისტული და.შ.) 3) მოგზაურობის თარიღი (თვე/წელი)

ხაზი 46 მიუთითეთ, რა თანხის გადახდას გეგმავს აპლიკანტისთვის მისი ოჯახი მომავალ სასწავლო წელს. თანხა მიუთითეთ დოლარებში.

ხაზი 47 რა რაოდენობის დაფინანსების მიღებას გეგმავს აპლიკანტი AUBG-ს გარდა სხვა დონორებისგან. მიუთითეთ თანხა დოლარებში.

ხაზი 48 მიუთითეთ რა რაოდენობის თანხას მიიღებს აპლიკანტი ნათესავებისაგან (ნათესავებში არ იგულისხმება პირდაპირი ოჯახი) და მეგობრებისაგან მომდევნო სასწავლო წელს. მიუთითეთ თანხა დოლარებში.

ხაზი 49 მიუთითეთ რა რაოდენობის თანხას მიიღებს აპლიკანტი, მომავალი სასწავლო წლისათვის, კერძო სპონსორისაგან. მიუთითეთ თანხა დოლარებში.

ხაზი 50 მიუთითეთ რა რაოდენობის თანხას მიიღებს აპლიკანტი მომავალი სასწავლო წლისათვის, თავისივე გამომუშავებული თანხისგან. მიუთითეთ თანხა დოლარებში.

ხაზი 51 მიუთითეთ რა რაოდენობის თანხას მიიღებს აპლიკანტი მომავალი სასწავლო წლისათვის, სხვა წყაროებისგან, რომელიც არ დასახელდა წინა ხაზებზე.

ხაზი 52 შეკრიბეთ თანხები 46-დან 51 ხაზების ჩათვლით და მიუთითეთ ჯამი.

ხაზი 53 გამოიყენეთ ეს სივრცე, რათა წარმოადგინოთ დამატებითი ინფორმაცია, რაც, თქვენი აზრით, საჭიროა, რომ დაამატოთ. ასევე, ახსენეთ თუ არის რაიმე განსაკუთრებული მდგომარეობა, რაც უნდა გავითვალისწინოთ ფინანსური მხარდაჭერის თქვენთვის გადმოცემის დროს. მიუთითეთ ინფორმაცია და დოკუმენტაცია სესხებზე, იპოთეკაზე, გადახდილ ქირაზე. მიამაგრეთ აპლიკაციას დამატებითი ფურცლები, თუ საჭიროა.

ხაზი 54 შეავსეთ საჭირო დოკუმენტების ნუსხა. ყველა დოკუმენტი უნდა იყოს ორიგინალი ან დამოწმებული ასლი. დოკუმენტები უნდა იყოს გამოშვებული ბოლო 12 თვის მანძილზე და თარგმნილი ინგლისურად (თარჯიმნის მიერ), თუ თავად დოკუმენტი არ არის ბულგარულ ენაზე. დაწერეთ N/A თუ არ გაქვთ შესაბამისი დოკუმენტი. მაგ. თუ მამას არ მიუღია უმუშევრობის კომპენსაცია, მიუთითეთ N/A შესაბამის ხაზზე.

სავალდებულო დოკუმენტები:

- 1) დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს შემოსავალს საკომისიოს გადახდამდე და გადახდის შემდეგ. ასეთი დოკუმენტი აუცილებელია ოჯახის ყველა მომუშავე წევრისთვის, აპლიკანტის ჩათვლით.
- 2) ყოველწლიური საკომისიო გადასახადის მაჩვენებელი დოკუმენტის ასლი (ბიზნესს საქმიანობის, კომპანიების წილების, ქირის, ან სხვა რაიმე შემოსავალიდან). ოჯახის ყველა მომუშავე წევრზე, აპლიკანტის ჩათვლით.
- 3) დოკუმენტი, რომელიც ამოწმებს, რომ ოჯახი არ არის ჩართული ვაჭრობაში. თითოეულმა მშობელმა უნდა წარადგინოს ნოტარიულად დამტკიცებული განცხადება, რომ არ არის ჩართული ვაჭრობაში და არ ფლობს უძრავ ქონებას, გარდა იმისა, რაც განაცხადა. განცხადებაში ცხადად უნდა ეწეროს, რომ ოჯახის წევრებმა იციან რა გართულებები შეიძლება მოჰყვეს, თუ არ მიუთითებენ სრულ სიმართლეს.
- 4) ოჯახის დანაზოგის ამონაწერი ბანკიდან.
- 5) დოკუმენტი ოჯახის ყველა უმუშევარი წევრისთვის, რომელიც ასახავს თუ რა რაოდენობის თანხას იღებენ ოჯახის უმუშევარი წევრები კომპენსაციის სახით.
- 6) დოკუმენტი, რომელიც ასახავს მიღებული პენსიის რაოდენობას.
- 7) სასამართლო დადგენილების ასლები თუ მშობლები გაცილებულები არიან. მშობლებმა უნდა წარმოადგინონ მათი ამჟამინდელი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი. ორივე მშობლის სრული ფინანსური ინფორმაცია უნდა იყოს წარდგენილი, მიუხედავად იმისა - გაყრილები არიან თუ არა ისინი.
- 8) ალიმენტის სერტიფიკატი, თუ არსებობს ალიმენტი.
- 9) გარდაცვალების დოკუმენტის ასლი, გარდაცვლილი მშობლის შემთხვევაში. ასევე მშობელმა უნდა წარადგინოს ამჟამინდელი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი და უახლოესი ცოცხალი ნათესავის დამადასტურებელი ცნობა.
- 10) ჯანმრთელობის პრობლემების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუკი არსებობს ჯანმრთელობის პრობლემა.
- 11) რეგისტრაციის დოკუმენტები ოჯახის მფლობელობაში არსებული მანქანების ან ბიზნესის.
- 12) ოჯახის მფლობელობაში არსებული სახლის, ბინის ან მიწის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

ხაზი 55 აპლიკანტმა და მშობელმა უნდა მოაწერონ ხელი დეკლარაციას და ამით

დაადასტურონ, რომ

- (i) გაეცნენ ინსტრუქციებს;
- (ii) მათ მიერ მოწოდებული ინფორმაცია ამ აპლიკაციაში არის სრულყოფილი და შეესაბამება სიმართლეს;
- (iii) აპლიკაცია ფინანსური მხარდაჭერის შესახებ, რომელიც არ შეიცავს საჭირო დოკუმენტებს ან არ არის სრული, არ იქნება მიღებული;
- (iv) როგორც კი აპლიკაცია შეივსება, აღარ იქნება საშუალება, დოკუმენტები დაამატოთ ან ახალი აპლიკაცია შეავსოთ ამ წლისათვის.